



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000042951644219

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 19

03 / აპრილი / 2019 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის 2019 წლის 19 მაისის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ხალანის ადმინისტრაციულ ერთეულში, 2019 წლის 19 მაისის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გამოსაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:

ა) კულტურის სახლის კაპიტალური მესერი;

ბ) სახელმწიფო და ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სასწავლო-

აღმზრდელი და დაწესებულებების კაპიტალური მესერი;

გ) სახელმწიფო და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში(მფლობელობაში) არსებული

შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი(გარდა მათი ადმინისტრაციული

შენობებისა), აგრეთვე მათ მიერ შექმნილი(დაფუძნებული) იურიდიული პირების

საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური

მესერი;

დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების

ბოძები-სამი მეტრის სიმაღლემდე, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან,

სადენებთან და სხვა ელემენტებთან არაუმეტეს ერთი მეტრი სიხლოვისა.

2. აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის


ორგანოების, ახმეტის მაგისტრეტი სასამართლოს და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით, აგრეთვე გადაეგზავნოს ახმეტის N18 საოლქო საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღემდე.

5. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში(ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N14)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

თამარ ყვინიშვილი